

ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან გატარებული დროის ეფექტი
აუტიზმის მქონე ბავშვების ჩართულობის მაჩვენებელზე სასკოლო
სივრცეში

დიანა ჯანაშია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოუქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დიანა ჯანაშია

20.06.2018

მადლობა

აღნიშნული სამაგისტრო კვლევის ხორცშესხმაში წვლილი მიუძღვის არაერთ ადამიანს, რომელსაც მინდა გადავუხადო მადლობა. პირველ რიგში მადლობა ჩემი თემის ხელმძღვანელს რომელიც პირველივე შეთავაზებაზე დამთანხმდა გამხდარიყო ჩემი თემის ხელმძღვანელი და ერთი წუთითაც არ დაუკარგავს იმედი, რომ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ. მადლობას ვუხდი მას, მუდმივი მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო CANCHILD-ის ინსტიტუტს, რომელმაც საშუალება მომცა უფასოდ გამომეყენება მის მიერ შექმნილი ინსტრუმენტი -PEM-CY. აქვე, მადლობა ეკუთვნის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ დიმიტრი უზნაძის სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლებს, რომლებიც უანგაროდ დამეხმარნენ ინსტრუმენტის თარგმნასა და მის ადაპტირებაში ქართულ კულტურულ კონტენტთან. მადლობა, თითოეულ მშობელს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ კვლევაში და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მასში.

მადლობა ჩემს სამსახურს -მაკ ჯორჯიას, რომელმაც თანადაფინანსება გაუწია ჩემს სწავლას მაგისტრატურაში და ხელს მიწყობდა ლექციებზე სიარულში.

და ბოლოს, მადლობა ჩემს შვილს, რომელმაც გადამაწყვეტინა განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება და მომცა სტიმული ჩამედო ჩემი მცირე წვლილი აღნიშნულ სფეროში. მადლობა მეუღლეს, რომელმაც სრულად აიღო თავის თავზე ოჯახური ვალდებულებები ჩემი სწავლის პროცესში და მოთმინებით ელოდა ჩემს სახლში დაბრუნებას გვიან ღამემდე.

აბსტრაქტი

საკვლევი თემა: აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვები გამოირჩევიან მწირე სოციალური უნარებით, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ბარიერს სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობისთვის. თავის მხრივ, ჩართულობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბავშვის სოციალური, აკადემიური და სხვა ყოველდღიური უნარების განვითარებისთვის.

თემის მიზანი: აღნიშნული კვლევის მიზანია, განსაზღვროს, რა გავლენა აქვს საგაკვეთილო პერიოდში ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან ერთად ყოფნას აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის ჩართულობის მაჩვენებელზე სკოლაში და განსხვავებულია თუ არა აუტიზმის მქონე ბავშვების ჩართულობის სიხშირე არასტრუქტურული აქტივობებში იმის მიხედვით, თუ რა დროს ატარებს ის ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან.

მეთოდოლოგია: გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვაზი-ექსპერიმენტული ჯგუფთაშორისი სქემა. დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს გარემო (კერძოდ, დროის ის მონაკვეთი რასაც ატარებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი ტიპური განვითარების მქონე ბავშვთან) - სამი დონით - პირველი დონე (ტიპური განვითარების ბავშვთან გატარებული დროის რაოდენობა კვირაში მერყეობს 0 საათიდან - 2, 5 საათამდე - $N=16$), მეორე დონე (ტიპური განვითარების ბავშვთან გატარებული დროის რაოდენობა კვირაში მერყეობს 5 საათიდან - 12, 5 საათამდე - $N=21$) და მესამე დონე (ტიპური განვითარების ბავშვთან გატარებული დროის რაოდენობა კვირაში მერყეობს 15 საათს და მეტს - $N=21$). დამოკიდებული ცვლადი არის ჩართულობის მაჩვენებელი სკოლაში. ჩართულობის მაჩვენებლის (სიხშირისა და ინტენსივობის) განსაზღვრის მიზნით გამოყენებული იქნა PEM-CY ინსტრუმენტი. კითხვარი შეავსეს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებმა. მონაცემები შეგროვდა როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგების მიხედვით დაფიქსირდა მნიშვნელოვანი სხვაობა ჯგუფთა შორის სკოლაში ჩართულობის სიხშირეში ($F=3.863$; $P=.027$), ასევე გამოიკვეთა

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დროის მიხედვით დაყოფილ სამ ჯგუფს შორის - არასტრუქტურულ აქტივობებში ჩართულობის სიხშირეში ($F=6.167$; $P=.004$).

შედეგების განხილვა: იმ ბავშვების ჩართულობის მაჩვენებელი, ვინც კვირაში 15 საათსა და მეტს ატარებს ტიპური განვითარების მქონე ბავშვთან ერთად საგაკვეთილო პროცესში, უფრო მაღალია იმ ბავშვებთან შედარებით ვისაც არ უწევს ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან შეხება, ან მცირე დროს ატარებს მათთან კვირის განმავლობაში. შედეგები მნიშვნელოვანია ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და მისი განხორციელების პროცესში შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფისთვის.

დასკვნები: რეკომენდირებულია ფართომამუშაობიანი კვლევის ჩატარება PEM-CY ინსტრუმენტით, ზოგადი ჩართულობის მაჩვენებლის დადგენის მიზნით და ინსტრუმენტის გამოყენება სპეციალისტებისა და თავად ბავშვების მიერ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტისტური სპექტრის დარღვევა, ჩართულობის მაჩვენებელი, PEM-CY ინსტრუმენტი

ABSTRACT

Study Area: Children with Autism Spectrum Disorder (ASD) are lacking social skills, which prevents them from full participation in everyday activities, while participation is a key in developing child's social, academic and everyday skills needed for independent living.

Objective: The goal of this study is to examine the effect of time, spent with the typical development children by children with ASD on their participation rate at school. Also, find out if the participation frequency is different among children with ASD based on the time period spent with the typical development children.

Methodology: Quantitative quasi-experimental design has been used to analyse the data. Independent variable was an *environment* (the time spent at school, during the class hours with the typical development children, by children with ASD) with the three levels – First level (the time spent with the typical development children ranges from 0- 2, 5 hours per week, N=16), Second level (the time spent with the typical development children ranges from 5 - 12, 5 hours per week, N=21), Third level (the time spent with the typical development children is 15 hours and more per week, N=21). Dependent variable was *participation rate* at school. Participation and Environment Measure for Children and Youth (PEM-CY) have been used to measure the participation rate (frequency and intensity). Parents of children with ASD have filled the electronic and/or paperbased PEM-CY.

Results: Statistically important difference was found between the groups/levels in participation frequency ($F=3.863$; $P=.027$), another difference was observed among the three groups divided by the time spent with the typical development children, mainly participation frequency in nonstructured activities ($F=6.167$; $P=.004$).

Conclusion: Participation rate of the children with ASD, who spent 15 hours or more per week with the typical development children, is higher than the one who have limited or no opportunity for interaction with the typical development children. Reflect the results of the research into the

planning of the child' Individual Education Plan and its implementation by providing relevant environment is highly prioritized.

Recommendation: Use PEM-CY instrument on a bigger scale to have a population based participation rate. Also, involvement of the specialists and children themselves in conducting the research is highly recommended.

Keywords: Autism Spectrum Disorder (ASD), Participation Rate, PEM-CY